№ 89 აპრილი 25, პარასკევი — 1886 — აპრილი 25, პარასკევი № 89

გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9 შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1 მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მან. 25 კაპ.

ტფილისი, 24 აპრილს

ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდამ გამოვიდა და ახალი გზა კი ჯერ ვერ გაუკვლევია, ახალის ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძნელია, თუ კაცს გზა აერივა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ველარ მოუხერხებია...

უმრავლესობას შეიძლება თვალნათლად არცკი ჰქონდეს გამორკვეული ეს ცვლილება, მაგრამ არ შეიძლება კი რომ თვითუმეცარიც ბუნდად მაინც არა ჰგრძნობდეს ამასა. მხოლოდ არც ცოდნა აქვს მას და არც იმოდენა გონებითი ძალ-ღონე, რომ თავის თავს თითონვე უშველოს. აი აქ უნდა მოეშველოს ის, ვისაც იმოდენა ცოდნა და განათლება შეუძენია, რომ ახალის ცხოვრების მოთხოვნილება ესმის და გზის ჩვენებაც შეუძლიან. აი აქ უნდა გამოვიდეს საქვეყნოდ ის, ვისაც გული შესტკივა თავის უმეცარ მოძმესათვის. მადლობა ღმერთს, ამ ბოლოს დროს ჩვენს ბედს ძალიან ვერ დავემდურებით. ცოტად თუ ბევრად ხომ ჩვენში ჰმატულობს ყოველ წლივ მცოდნე და განათლებული წყობა ერისა. სად არის, სად იმალება ეს წყობა? რატომ არ ეშველება იმ ხალხს, რომელმაც იგი გამოზარდა, და რომელსაც ეკუთვნის?

ნუ თუ არ ესმით, ან ავიწყდებათ, რომ ყოველი გროში, რომელსაც ის თავის სწავლაზე ხარჯავს, ხალხის ოფლით წვითა და დაგვით არის შეძენილი, თუნდა მახლობელთა ხელითაც იყოს მიწვდილი. ხალხი თუ იხდის ამ მძიმე ხარჯს, მხოლოდ იმ იმედით, რომ მისი ამაგი მუქთად არ ჩაივლის, რომ მისის ნაღვაწით და შრომით გამოზრდილი მასვე დაუბრუნდება და რაიმე შველას მისცემს თავის ცოდნით. არა გვგონია, რომ ჭეშმარიტად განათლებული კაცი არ ჰგრძნობდეს ამ გვარ მოვალეობას, არ ჰფიქრობდეს, რომ იგი ზნეობით მოვალეა ხალხს უკანვე დაუბრუნოს სამაგიერო მისი, რაც მისგან მიუღია. ხოლო თუ ხალხს არ უხდიან სამაგიეროს, სხვა მიზეზი უნდა მოქმედობდეს, იქნება ცოტად და ბევრად შესაწყნარებელიცა, მაგრამ, ჩვენის ფიქრით კი, გასამართლებელი არ იქნება. მწარე ფიქრები წარმოგვიდგება ხოლმე თავში, როდესაც ჩვენს განათლებულს, კაცებს ვუფიქრდებით. შეჰხედეთ სხვა ქვეყნებს... ერთობ ყოველ დაწინაურებულ, განათლებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ ათს წელში ცხოვრება ფერს იცვლის... ყოველ ამ გვარ მოძრაობას... ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალის დასის ხალხი გამოდის. ძველ თაობას ახალი სცვლის, ან გვერდში უდგება. ახალი ახალის ცოდნით, ახალის ცხოვრების გამოცდილებით, მეტის ჯანით და ღონით, ცხოველის ძალით არის შეჭურვილი, და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობას შესამჩნევ მოძრაობას აძლევს. ამ მოძრაობის ტალღები ვრცლად გადის და ცხოვრების ვარამსა და ვაგლახსა ჰრეცხს... სანუგეშოდ ის მაინცა რჩება, რომ ცხოვრება იქ დახავსებულ გუბედ არ გადიქცევა. სადაც მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის. ჩვენში რაღასა ვხედავთ? ჩვენცა გვყავს თითოოროლა მაინც ჭეშმარიტად განათლებული და მცოდნე კაცები, იმისთანებიც, რომელთაც მეცნიერებაში სახელიც მოუპოვებიათ,-მაგრამ ისინი ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენ გარედ არიან. და ამ სახით, ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს წინ გაუძღვეს თავის საკუთარის ქვეყნის ცხოვრებას, განზედ სდგას. იქნება ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრებაც არის, მით რომ ბევრს სიამოვნებას და ხელის შეწყობას არ უქადდეს, მაგრამ ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. ამ შემთხვევაში დგომა—ცდომაა. ცხოვრება წინ წავიდა... ცარიელი მოედანი ცხოვრებისა ჰღაღადებს და იწვევს იმ განათლებულ მშრომელთა. მაგრამ ღაღადი ჯერ არავის ესმის და მოწვევა[illegible] არავინ მოდის.

ახალი ამბავი

⁂ მტკვარი თან-და-თან უფრო მოვარდა ტფილისში. გუშინ მოუგლეჯია ვერაზედ ხიდი, რომელიც მტკვრის ტოტზედ იყო გადებული ვერის ბორნამდე. მეტივეებისთვის კარგია, როცა წყალი მოვარდნილია, დიდ-ძალი ტივები ჩამოაქვთ ამ დროს ტფილისში და უფრო ადვილადაც, მაგრამ ასეთი მეტის-მეტი ონავრობა-კი ძალიან გასაჭირია ხოლმე მეტივეებისათვის.

⁂ ჩვენ შევიტყეთ შემდეგი დაუჯერებელი ამბავი: ერთს ვიღაც თათარს შესანიშნავი ძველი ნაშთი უპოვნია დარიალის ხეობაში. ნაშთი ქვა არის თურმე ლუსმებრივის ზედწარწერით მოყვანილი. ეს ქვა უნახავს ფოტოგრაფს როინაშვილს, რომელიც აგროვებს კავკასიის საარხეოლოგიო ნაშთებს და, როგორც ამბობენ, უყიდნია ამ თათრისაგან ოც თუმნად, შემდეგ გადაუღია ფოტოგრაფიით ზედ-წარწერა და მოსკოვში გაუგზავნია არხეოლოგიის მოყვარე გრაფის ბობრინსკისათვის. გრაფს 10,000 მან. შეუძლევია ამ ქვაში როინაშვილისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს 20,000 მან. უთხოვნია.

⁂ ვარანცოვის ძეგლი მეტად უყურადღებოდ არის დატოვებული. კაცს ეგონება, დადგმის შემდეგ აღარ გაუწმენდიათო, ისე უსუფთაოდ არის. ალაგი ისეთი არის, რომ დიდ-ძალი მტვერი ეყრება ზედ, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ შიო-მღვიმეს უდაბნო მონასტრად უნდათ გადააკეთონ. შენობის გადაკეთებას და ხარჯს ეპისკოპოზი ალექსანდრე კისრულობს თურმე.

⁂ გორიდამ გვწერენ: გორიდამ ცხინვალამდის ტელეგრაფის გამართვას უკვე შეუდგნენ. სვეტები დასხმულია და მავთულებს აბამენო.

⁂ თავისუფალ სვანეთიდამ შემდეგს სამწუხარო ამბავსა გვწერენ: კალის საზოგადოებაში სოფ. ხალდეს მცხოვრების გიერგ გასვიანის ცოლი ელისაბედი ხიდიდამ გადავარდა და წელს ქვემოთ სრულიად დაიმტვრა. ამ ხიდის სიმაღლე სვანეთში მეორე არ მოიპოება, აქვს თითქმის 17 საჟენი სიმაღლე და ისეთი საშიშარია, რომ მოგზაურნი მას «Чортовъ мостъ»-ს უწოდებენ. მიზეზი, რომელმაც განწირულებამდე მიიყვანა საბრალო ქალი, ყოფილა შემდეგი: ქმარს შეუტყვია, რომ მის ცოლს ჰყვარობს მისივე სოფლელი თაზი ჯოხაძე. ქმრის კითხვაზე ცოლს იმითი უმართლებია თავი, რომ ჯოხაძე ძალას ხმარობსო. ქმარს ეს ამბავი ჯოხაძისათვის შეუტყობინებია; უკანასკნელს უარი უთქვამს ძალადობაზე, ქალის უნებურად მე არაფერი არ ჩამიდენიაო. ეს ჯოხაძის პასუხი მოციქულს იმ დროს გადაუცია ქმრისათვის, როცა ცოლიც მასთან ყოფილა. ქმარს, რასაკვირველია, საყვედური უთქვამს ცოლისათვის. ცოლი ისე შეუწუხებია სინიდისს, რომ ამდგარა მაშინვე და როგორც ვსთქვით ხიდიდგან გადამხტარა და თავი მოუკლავს. ცოლ-ქმარნი ორივე ახალგაზდები იყვნენ და საწყალი ქმარიც ამ უბედურობის გამო მკვდარი უფრო არის, ვიდრე ცოცხალიო.

⁂ იქიდამვე გვწერენ: მულახის საზოგადოებაში სოფ. ლახისს ჯანსუღ იოსელიანმა [illegible] ქალი, ანუკია იოსელიანისა მოჰკლა. მიზეზი მამულების სადავო მიჯნები ყოფილა. მოკლული გაჯავრებული შევარდნია სახლში მკვლელს და ჩაჰფრენია თმაში, საუბედუროდ ამ დროს მკვლელს დანა სჭერია ხელში, ერთხელ ზეჭში ჩაუცია და მეორედ ფერდში. იოსელიანისა იქვე მომკვდარა. მკვლელი დაჭერილია.

⁂ ერთს აქაურს გაზეთს სწერენ: განჯის გუბერნიაში, ჯევანშირის მაზრაში პურისა და ქერის ფასმა ძალიან აიწია ამ გაზაფხულის პირზედ, თუმცა ყოველ-მხრიდამ ამბავი მოგვდის,

ფელეტონი

მოხუცის ნათქვამი

I

დავბერდი, შვილო, დავბერდი,
ამიკანკალდა მუხლები;
ათრევას—ზეზე დადგომას
მთელი დღე-ღამე უნდები.
მაგრამ ტიალი ე გული
წინანდებულად ცხელია,
მესმის რა თოფის გრიალი,
აღარ მასვენებს,—ხელია.
ვაჰმე, სიბერემ წყეულმა
გრკალად მომხარა წელშია;
რომ საქართველო თათარმა
აიკლოს, ჩაწვას ცეცხლშია,
ვერ მოვახტები ლურჯასა,
ხმალს ვერ შევირტყამ წელზედა,
ჩვენის რჯულის მტერს, მუხანათს
ზიანს ვერ დავდებ მკერდზედა.
ეს რა დროებას მოვესწარ?
გამოიცვალა ქვეყანა:
მამალიც ჰყივის სხვა გვარად,
კაცსა სძულს მისვლა კაცთანა;
ბიჭები გალაჩრებული
ყბედობენ სიყვარულზედა,
უმსგავსო მათი სიცილი
ვკლავდ მეხევა გულზედა.
რომ გავიარო ტყის პირად
ჩინჩხერების მოსაკრებადა,
მთელ ცისმარე დღეს ერთ-პირად
სხედან დუქნის წინ ერთადა.
მათ სასიმღერო ლექსები
მარტო ღვინო და ქალია...
ამ გვარს ვაჟკაცებს ქალებიც
თან სდევს ვით ყანას კალია.
სცხვენოდეს ახალ-უხლებსა,
კაც იყოს, თუნდა ქალია,
რომ მთელი მათი არსება
ფუჭმა საგნებმა დალია.
კაცმა ქალობა დაიწყო,
კოხტაობს, სიტყვა ნაზია,
ფერსა და უმარილს ისომს,—
მაშ არ მომივა ბრაზია!...

ჩემს დროსა ქალი ვაჟკაცსა
შეიყვარებდა მაშინა,
როცა ხედავდა მებრძოლსა,
შეუპოვარად მტრის წინა.
ჩემს დროს ლამაზი ვაჟკაცი
არ იყო ქალის პირისა,
არამედ შავი, მამაცი,
მუხლ-მგელი, გულით რკინისა.
ქალი და კაციც გაფუჭდა—
აღარ სძევთ ძველი ფერია,
მათ გულში ქაჯი დაბუდდა,
კაცის ნამუსის მტერია.
აფსუსო, ძველო დროებავ!..
რას ვაქნევთ გარყვნას ნეტარა,
რად არ ამაყობს დიაცი
ქმრის სიმამაცით მკვეხარა?

II

ერთს ამბავს გეტყვით, შვილებო,
ჩემის თვალითა ნანახსა,
მაშინდელს, როცა ტყვიის ხმას
ვეძახდით დედის ნანასა.
ერთხელ გავარდა ამბავი,
მოდის თათრების ჯარიო,
ჯარს მოთავეობს მაჰმადი
ქრისტიანების მხრავიო...
მაშინ მეფობდა ერეკლე,
ჩვენი პატარა კახია:
ქვა-კირით არის ნაგები,
გულ-თაფლი, სახით მკვახია.
ქინვანს მოვიდა ქაღალდი
მოწერილობა მეფისა:
«აბა, არაგვო, აჩქარდი,
შენი ერეკლე გელისა.
«ნუ მაჰმევთ თათრების ჯავრსა,
თქვენს მკლავებს ვენაცვალები,
თუ აიკლებენ თბილისსა,
სჯობს დავითხაროთ თვალები.»
ეს ხმა გავარდა სოფელში,
აღელდნენ ვაჟკაცები,
სოფლიდამ სოფელს გასძახის
ბუკის, ნაღარის ხმებია.
ფხიზლადა მყოფნი გუშაგნი
მთიდამ ამცნებენ სოფლებსა,
რომ გამოვიდნენ გულადნი,
ექმნენ მფარველად ობლებსა.
რა ვნახე მეფის ქაღალდი,
გულმა დამიწყო ფრიალი,
თვალთ მომეჩვენა ვაჟკაცთა
ომი, შუბ-ხმალთა ტრიალი.
ყმაწვილად ვიყავ მაშინა,
ახლად წვერ-შემომდინარი,
ომი ქორწილი მეგონა,
სისხლის რუ წყარო მდინარი.
მკლავთა დამიწყეს თამაში,
და მირბენს ჟრუანტელია;
ხირიმი მიდევს კალთაში,
ხმალზედ მიჭიდავს ხელია.

III

ველი სადა და როდისა
თქრიალს მოილებს ჯარიო,
რომ მეც მოვახტე შავრასა, (*)
პირს დავისახო ჯვარიო;
მეც მერგოს წილად ომს ყოფნა

(*) ცხენი.

რომ მოსაველს ძალიან კარგი პირი უჩანსო.

⁂ გაზეთს «Кавказъ»-ს სწერენ, რომ ბაქოში პურსა და ქერს ფასი ძალიან მოჰმატებია. ამის მიზეზი ის არისო, რომ ოსმალეთის აგენტები დიდ ძალს პურს ყიდულობენ აქ და ოსმალეთში ჰგზავნიანო.

⁂ გუშინ 24 აპრილს წარმოადგინეს თათრული პიესა „ჭატალი მაჰი“. როგორც შეეფერებოდათ სცენის მოყვარეებს, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. კარგი იყო სომხის არტისტი საჭრაზიანი და ალმა. ალმას საზოგადოებამ მიართვა მშვენიერი თაიგული და ოქროს საათი. წარმოდგენაზე ქართველებიც იყვნენ. დარბაზი სავსე იყო მაყურებელის საზოგადოებით.

⁂ ეგვიპტეშიაც აღმოჩენილა ნავთის წყაროები. «Новое Время» ამბობს, რომ წყაროები არაბეთში გამოჩნდაო. ნუმარ-ფაშას ინჟინერი გამოუგზავნია ბაქოში ამ საქმის ვითარება შეისწავლე და ნავთი ამოიღე ხოლმე არაბეთშიო. ეს წყაროები ეხლა ბოლგარიელებს აქვთ აღებული.

⁂ გაზეთ „Новое Обозрѣніе“ ს სწერენ: განჯაში ერთმა მეფურგუნემ ბლომად ფული იშოვნა მეფურგუნობით. ეს გაიგეს ავაზაკებმა და შეუცვივდნენ სახლშიო. მეფურგუნე ეფიცებოდა, არაფერი არა მაქვსო. ამ დროს ავაზაკებს დაუნახავთ პატარა ყმაწვილი მეფურგუნესი და უთქვამთ, აი აქვე შენ თვალ-წინ დავკლავთ ამას, თუ ფული არ მოგვეციო. საწყალი მეფურგუნეს ცოლი დამალული ყოფილიყო და შვილის უბედურება რომ დაენახა, გამოვარდნილიყო და დაეწყვა ხვეწნა ავაზაკებისთვის, ოღონდ ამას ნუ მოჰკლავთ და წაიღეთ ფულიო. ქალს აელო ყუთის გასაღები და მიეცა ავაზაკებისათვის. ამბობენ 2,700 მან. ფული და ნივთი გაიტანეს ავაზაკებმაო. პოლიციას უკვე მიუკვლევია დამნაშავეთა კვალი და უთუოდ მალე აღმოაჩენსო.

⁂ 23 აპრილს, პოლიციის 9 განყოფილებაში, წყლის-პირის ქუჩაზედ, ქართველოვის სახლების პირ-და-პირ გორის მაზრის გლეხი გიორგი გუნიაშვილი წაეჩხუბა ტფილისის მაზრის გლეხს სანდრო გორძელს და მუცელში დანა ჰკრა. დაჭრილი სამკურნალოშია გაგზავნილი.

⁂ 23 აპრილს, დილის 12 საათზედ, პოლიციის 4 განყოფილებაში, ნადვორნი სოვეტნის ქვრივის ნინო ავეტიქის ასულის ტერ-გრიქუროვის სადგომიდგან, რომელიც სვეჩნიკოვის სახლებში დგას, როცა ქალი შინა არა ყოფილა, გაუტანიათ ძვირფასი ნივთები 2184 მანათამდე. პატრონმა ეჭვი შეიტანა მოსამსახურეზედ, შორაპნის მაზრის მცხოვრებ იოსებ გურულზე. გურული დატუსაღებულია. გამოძიება ჰწარმოებს.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რაჭა, 15 აპრილს. „ივერიის“ მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ თითქმის $^2/_3$ ჩვენი მაზრის მცხოვრებლებისა მრთელს წელიწადს მოცილებულია თავის სახლ-კარობასა და ოჯახობას.

სად არ ნახავ რაჭველს: ტფილისში, ბაქოში, ყარსში, კავკავში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში და სხვაგან ასობით შეხვდება კაცი რაჭველს გლეხებს.

თავის მაზრაში რომ ვერ შოულობს საკმაო საზრდოს, რაჭველი შორდება თავის ცოლ-შვილს და მიდის 400—500 ვერსის მანძილზე ლუკმა-პურის მოსაპოვებლად. ვინ იცის, რამდენი შიმშილი, სიცივე და ჯავრი გამოსცადა რაჭველმა გლეხმა, სანამ უცხო ადგილზე, სხვის ხელ-ქვეითად, თავის ტანისამოსის ფასს და ოთხიოდე თუმანს ფულს ოჯახის საჭიროებისთვის შეაგროვებდა.

დადგება თუ არა დიდ-მარხვის უკანასკნელი კვირა, რაჭველები თითო-თითოდ იკრიბებიან თავიანთ ოჯახებში და აღდგომის წინა-დღეს, შაბათს ღამეს, უმეტესი ნაწილი იმათგანი თავის კერასთან ჰზის და თავის ცოლ-შვილის ცქერით სტკბება. ზოგიერთი გლეხის ოჯახობა დიდს სიხარულშია ამ დროს; კაცები კაი მოგებით დაბრუნდნენ თავის სახლში: ტანთ-საცმელები ახალი და კარგი ჩაუცვამთ, ცოლ-შვილსაც არ მოსვლიან ხელ-ცარიელნი და ფულიც კარგა ბლომად მოუტანიათ, ზოგიერთს გლეხებს თუმცა-ღა არც ძვირფასი ტანთ-საცმელი უყიდნიათ, არც ბევრი ფულები მოუტანიათ, მაგრამ დაგლეჯილი ჩოხების მაგიერ, ახალი იაფის-ფასის ჩოხები ჩაუცვამთ და თითოც ფარაჯა ანუ მაზარა უყიდნიათ საზამთროდ. ამასთან მოუტანიათ ცოტაოდენი ფულებიც, რომლითაც გაისტუმრებენ ვალის სარგებელს, სახაზინო და საზოგადოების გარდასახადს და შეიძლება თითო სააღდგომო ტახის ფასიც გადაარჩინონ.*)

აღდგომის დღესასწაულებზე რაჭველი გლეხები დროებით ივიწყებენ იმ უზომო შრომას, რომელსაც ისინი ეწევიან მრთელის წლის განმავლობაში. 10—12 წლის წინედ მეტის-მეტი სასიამოვნო სანახავი იყო რაჭაში ახალი გაზაფხულის დღესასწაულები. თითოეულს სოფელში უსათუოდ ერთი რომელიმე დღე ჰქონდათ არჩეული სადღესასწაულოდ, დროს გასატარებლად: აღდგომის მეორე დღე (გორგოთობა), მეოთხე (ელიობა), ახალკვირა და სხვ.

ამ დღეებში თითოეულს ჰყავდა მიწვეული მეგობრები და ნათესავები; მრთელი სოფელი თავიანთ სტუმრებით და ცოლ-შვილით ერთს ადგილზე (თუ დარი იყო მინდორში, თუ არა რომელსამე გლეხის დიდს სახლში) მოიყრიდა თავს და დიდს განცხრომაში იყო: დაირის და ტაშისცემას, სიმღერას და ცეკვას დასასრული არა ჰქონდა; ერთი მეორეს ეხუმრებოდა და ეალერსებოდა; თითოეულს თავისი საკუთარი სადილი ჰქონდა მიტანილი; გაშლიდნენ საზოგადო სუფრას და ტკბილად შეექცეოდნენ; ერთი მეორეს მოსაკითხს უგზავნიდა. ხშირად მოსაკითხს შეადგენდა ერთი პატარა ხორცის, ანუ ყველის ნაჭერი, დანის წვერზე წამოცმული და ერთი ჰიქა ღვინო. მოსაკითხს თან დაატანდნენ ხოლმე: «ეს მცირე მოსაკითხი გასაბედავი-კი არ არის, მაგრამ სიყვარული არისო».

ამ გვარს დღეობას, «თემობას» ეძახიან და, როგორც ზემოდა ვსთქვი, 10—12 წლის წინედ ერთობ სასიამოვნო იყო «თემობაზე» დასწრება და დროს გატარება; მაგრამ ამ უკანასკნელს ხანებში ისე გაფუჭდა ჩვენი სოფლელების საზოგადო ცხოვრება, რომ ღმერთმა მტერსაც აშოროს მათს შეკრებილებაში, «თემობაში» დასწრება.

ერთი რომ უწინდებურად ხშირად «თემობა» აღარ იციან და, თუ-კი ოდესმე რაიმე საზოგადო სახალხო შეკრებილება გაიმართა, უსათუოდ დაბოლოვდება ან კაცის მკვლელობით, ან სხვა რაიმე საზიზღარის საქმით.

—

გუშინ, 14 აპრილს, ონის მახლობელ სოფელს მაედანში დღეობა ჰქონდათ; თუმცა-ღა სოფელი, ჩვეულებისამებრ, ერთად არ იყო თავ შეყრილი, მაგრამ თითოეულს გლეხს-კი თავის სახლში ბევრი სტუმრები ჰყავდა მიწვეული. სადილის შემდეგ ეკკლესიის ახლოს მინდორზე მთვრალი ხალხი შეიკრიბა—ალბად დროს კასატარებლად; აქ ორი ახალ-გაზდა, ერთი აზნაური და მეორე გლეხი, ალაპარაკდნენ—რაღაც ძველი ანგარიშები მოიგონეს და ჩხუბი ასტეხეს. აზნაური მძიმედ დასჭრეს ხანჯლით. დაჭრილის მამა სარიდან გამყრელიძე ამ დროს იქვე ახლოს გლეხისას იჯდა და დროს ატარებდა, მაგრამ, როდესაც თავის შვილის ამბავი მიუტანეს, საჩქაროდ მინდვრისკენ გამოსწია. აქაურმა მამასახლისმა ანტონ ბერიშვილმა შენიშნა, რომ გამყრელიძეს ხანჯალი ეკიდა და სთხოვა ხანჯალი შემოიხსენიო. «მე საჩხუბრად არ მივდივარ, უპასუხა გამყრელიძემ, მსურს მხოლოდ ჩემი შვილის ამბავი გავიგოვო», აიხსნა იარაღი და გარდასცა მამასახლისს. გამოვიდა თუ არა მინდორზე, წინ შეხვდა იმ გლეხის უფროსი ძმა, რომელმაც დასჭრა შვილი გამყრელიძისა. «რა ამბავია, რომ აგიშვია ავაზაკი ძმები და შვილი მამიკლესო», მიაძახა გამწარებულმა მამამ. ამის თქმა და მოხუცებულ სარიდან გამყრელიძის წაქცევა ერთი იყო. ამბობენ, პირქვე დაცემულს გამყრელიძეს ერთი მაჩხუბართაგანი ზურგზე დააჯდა და დაუწყო ხელით ცემაო, ამ დროს მეორე ძმა მივიდა, აიღო ორივე ხელებით ნახევარ ფუთის სიმძიმე (დღეს აწონინა გამომძიებელმა) რგვალი რიყის ქვა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაჰკრა თავში წაქცეულს გამყრელიძეს, რომელმაც იმავე წამში დალია სული. პოლიციის მოხელე, რომელიც რამდენიმე დაიარაღებულის კაცით, წესიერების დასაცველად, დილითვე იყო წასული ს. მუდანში, თავისის თვალით უყურებდა ამ საზიზღარს მკვლელობას, მაგრამ.....

ეს პირველი მაგალითი არ არის რაჭაში, წარსულს წლებშიაც მოხდა ამ გვარი შემთხვევა. გამომძიებელმა გულ მოდგინედ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი; მაჩხუბრები ოთხი ძმა ბერიშვილები და ერთი მოსიძე დატუსაღებული არიან. მკვდარი იმ ერთის მეტი არ არის და დაჭრ[illegible]ები კი ორნი არიან—ერთი მოკლულის შვილი და მეორე ალ. ბერუჩაშვილი.

ეს არის ახლანდელი ჩვენი სახალხო დღეობა, ასე ასრულებენ ამ უკანასკნელს დროში მამა პაპისგან დატოვებულს ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო ჩვეულებას, «თემობას» რაჭველები!

—

იმავე 14 აპრილს ღამით ს. სომიწოში გასტეხეს სამრევლო ეკკლესია, საიდგანაც გაიტანეს ავაზაკებმა ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი.

◆

ივრის-ხეობა. აპრილის 18-ს, იორი გამოდინარეობს კავკასიონის მთებიდგან; ჯერ ჩამოუდის ფშავეთს, მერე მოდინარეობს თიანეთზედ და ბოლოს ჩამოდის გარეთ კახეთში, სადაც სამხრეთ აღმოსავლეთისკენ ბრუნდება და ამ გზით მიდის ალაზანთან შესართავამდე. ივრის ხეობას შეადგენენ ის სოფლები, რომლებიც არიან გაშენებულნი მდ. ივრის ორთავ ნაპირებზედ. რიცხვი ამ სოფლებისა სუთმეტამდეა. ბევრი არ არის კახეთში იმისთანა ხეობა, რომლის მცხოვრებნიც წარმოადგენდნენ ასრე სხვა-და-სხვა ტომის ხალხს, როგორც ივრის ხეობაა... ამ ხეობის მცხოვრებლებს შეადგენენ, როგორადაც ქართველები; აგრედვე რუსები, თათრები, ნემეცები და მალაკნები,—ეს ხალხი სულ ორსა თუ სამს ვერსტზე სცხოვრობს ერთმანერთისგან. რუსების სოფლებს ეკუთვნიან გომბორი და მუხროვანი, თათრებისას მუღანლო, რომლის მცხოვრებლები თითქმის ყოველ წელიწადს აწიოკებენ ივრისხეველებს, ნემეცებისას—სართიჭალა—აბასთუმნით, მალაკნებისას—აზამბური (მალხაზოვკა) და ქართველებისას უჯარმა, სადაც, როგორც ისტორია მოგვითხრობს, ვახტანგ გორგასლანი ორის ერისთავით გამაგრდა მე V საუკუნის დასასრულს, ქ. ი. 499 წ., როდესაც საქართველოში შემოვიდა მრავალი სპარსთა ჯარი, მათის მეფის წინამძღოლობით, ხაშმი, რომელიც არის გათქმული ღვინით, პატარძეული მდებარეობით, საგარეჯო, რომლის მცხოვრებლების რიცხვი 900 კომლს აღემატე-

---

*) რაჭაში გლეხ-კაცებს ერთობ უყვარსთ სახორცედ ღორი. ქართლიდგან, კახეთიდგან და სხვა ადგილებიდგან ყოველ-წლობით ბევრი ღორის ჯოგები მოჰყავსთ გასასყიდლად. წარსულ ზამთარში, შობის წინადღეებში, ერთს პარასკევ დღეს ონში გაიყიდა 1,500 ღორი. ავტ.

მფარველად მამულისაო,—
ისე ჰგონია მაშინ კაცს,
ნათლული არის ღვთისაო.
დიდი ზარი აქვს მაინც ჯარს,
მას შაედრება ვერა-რა,
ბუკსა, ნაღარას, ზაირალს
ვერსად წაუხვალ ველარა!
არ გაუვლია დიდ ხანსა
თოფის ხმამ მთანი არია,
ნუგეში ეცა ყველასა,
სთქვეს: «ეგ მთიულთა ჯარია.»
ცოტა ხანს შემდეგ მოისმა
მათი სიმღერა მკვნესარი...
არწივთა მაღლის მთისათა
ნეტავ რად უნდათ მქებარი...
ათას ფეროვნად ჩაცმულნი,
შესახედავად კარგნი»,
დინჯ-მოუბარნი, გულ-ტკბილნი.
გაჭირვების დროს მარგნია
რკინას იცომენ ტანზედა,
თავზედ მუზარადს იდგამენ...
თუ საქმე მიდგა ხმალზედა,
შენს მტერს რო საქმეს იზამენ,
რაც უნდა მტერი მოვიდეს
არ ვინ შეიმჩნევს ჰირადა,
ხმალს აშველებენ ფარებსა,
მტრისას დაიკვრენ ძვირადა.
წინ მოუძღოდა დროშითა
თეთრ-წვერა ხევის ბერიო,
თითქოს მოჰქონდესთ კულუხი *)
სიმღერით მოსდევს ერიო.
ჩვენებიც შაკრბენ, მოვიდენ,
მე მიმელიან მარტოსა:
დედა მიმზადებს საგზალსა:
პურსა, ყველსა, და ხაჭოსა.
ქალებს დაუბამთ ფერხული
და გასძახიან არაგვსა:
«არაგვო, უყარაულე
ომში მიმდინარს ლაშქარსა.
თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
ლამი აჰამე შერცხვენილს,
რომ სახლში ველარ მოვიდეს!»
წინ მივეგებეთ, დავძახეთ:
„მთიულებს გაუმარჯოსო,
ჰხარობდეს საქართველოი,
თათრები დაუმარცხოსო.
იმათ იშიშვლეს ხანჯლები,
გაეარდა თოფი-თოფზედა,
დაათრებული ცხენები
ჰფეთქენ, დგებიან ტოტზედა.

IV

როცა ღრმა ღელეს გაველით,
ვნახეთ მთის წვერზედ მხედარნი,
ლამაზად ჩანდნენ გორის პირს,
ჩვენისა გზისა მკვლევარნი.
თითით ულერდა ჩვენზედა
თეთრ-ცხენოსანი კაციო,
მას სხვანი ედგნენ გვერდზედა—
არ ითქმის მათი ფასიო.
მაშინვე იცნეს ბიჭებმა,
სთქვეს: «ის ერეკლეს ცხენია,
სწორედ ის არის, ღვთის მადლმა,
ვაჟკაცი კახი ჩვენია.»
ერთს წამს მოსხლიტეს მერნები,
მეც გამიფიცხდა ცხენიო,
მაგრამ ჯარს უკან მივყვები,
მოვქანჩე ელვებრ მფრენიო.
მე არ მენახა ჯერ მეფე,
მის ნახვა მეკრძალებოდა,
სალამს ვერ გავუბედავდი,
მიტომ არ მეჩქარებოდა.
მეფეც დაიძრა ამალით
პირ-და-პირ ჩვენკე დენითა,
და ჩვენც დოსტოღრივ*) მივედით
თოფ-იარაღის ქლერითა.
აყვირდნენ ფშაველ-ხევსურნი,
მოხევე, გუდამაყრელნი,
„შენს წინ ვართ, ბრძანებას ველით
შენნი ერთგულნი ქართველნი...
მეფე გვიცოცხლოს ზეცამა,
ნუგეშად იმის ყმათაო,
ბარად თუ მთაში წაბრძანდეს
ჰკვარეიდეს უფლის კალთაო“...
მე უკან ვინაბებოდი,
როგორც ყანაში მწყერია,
მსურდა ქურდულად შემეტყო
მეფის იერი, ფერია:
ის ეცინოდა მისულთა,
როგორც ძმა თავის ძმათაო,
ჰკითხავს შინაურს ამბავსა
თავისთან შეხვედრილთ ყმათაო,
რომელთაც სიკვდილ „აქციეს
სიმღერით მტრისა ლეგამში,
და წამოსულან ნებითა,
რომ მოკვდნენ ქვეყნის წვენში.
თითო ისეთი მოსახსნდა,
როგორც ვეშაპი ცხენზედა,
ზათი*) იმათი ზღვას ჰგვანდა,
კლდეე უცელ-ყელებით მკერდზედა.
ერგელე ცხენზედ ჰშვენოდა,
შამადლე სოლცქერალი,
უხდება ბეზერს არწივსა
შემჭენილი სახე-მკრთალია.
მთელი სიტურფე ქართლისა,
იმას ესვენა მხრებზედა,
როგორაც შუქი მთვარისა

---

*) ტაბლაა,

*) ტყვიასავე შეუპოვრად, პირ-და-პირ.

*) შეხედულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა და სადაც არსებობს ორ კლასიანი სასწავლებელი, დეპო და ბანკი. ეხლაც არის კიდევ პატარ-პატარა სოფლები.

როგორადაც თითონ მცხოვრებნი ამ ხეობისა, აგრეთვე მათი ტყე და სახნავ-სათიბი მინდვრები სულ სახელმწიფოა. ბუნება და მიწის ნიადაგი ამ ხეობისა მდიდარია და უფრო მდიდარი იქნებოდა, თუ რომ აქეთ-იქით მთებიდგან წყლის პატარ-პატარა რუები გადმოდიოდნენ და მინდვრებს რწყამდნენ; მეტადრე გოლვიან წელიწადებში ამ შემთხვევაში იორი თითქმის უსარგებლო არის ჩვენთვის, რადგანაც ჩვენი მინდვრები მაღლობ ადგილზეა გაჭიმული; მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ სადაც კი ადგილი ნებას აძლევს მცხოვრებლებს იორიდგან გაჰყავთ წყალი და რწყავენ როგორადაც ნახნავ-ნათესსა, აგრეთვე ბოსტნებს და ვენახებს, რომელთაც უხვი მოსავალი იციან.

სარჩოს შენება აქ უფრო ნემეცებს, რუსებს და მალაკნებს ეხერხებათ, ვიდრე ქართველებს, და ყოველის მხრით მაღლა სდგანან ქართველებზედ მაშინ, როდესაც ამათში პირველი ადგილი უნდა ქართველებს ეჭიროთ, რადგანაც რუსები, ნემეცები და მალაკნები ახალი დასახლებული ხალხია ამ ხეობაზედ, და გარდა ამისა ქართველები უფრო ბევრ გვარ საქმეს მისდევენ: ნემეცებივით და რუსებივით მარტო ხვნა-თესვას და ბოსტნეულობას კი არ სჯერდებიან. აქ ხვნა-თესვაც ძლიერ გავრცელებულია, რადგანაც სახნავი მიწები არის, რომლებიც ამათ საკუთრო მიწებად კი არა აქვთ დაყოფილი, ყველა სოფელს თავისი ნაწილი აქვს დანიშნული და თვითეული გლეხი ამ ნაწილიდგან იმდენს მოხნავს, რამდენსაც მისი ძალ-ღონე შესძლებს.

ამ მინდვრებზედ ჭირნახულის გარდა, თივაც ბლომად მოდის, მეტადრე თუ წვიმიანი წელიწადი დაუდგა, და თუ გოლვამ ძალა დაატანა ამ მინდვრებს, შენი მტერი, რომ ჭირნახულისაც და თივის იმედიც სრულებით დაგვეკარგება ხოლმე. აქ შინაურ პირუტყვების მოშენებასაც საკმაოდ მისდევენ, რადგანაც ამ საქმეს ხელს უწყობს იალაღი. ვენახების მოშენებას ხომ ერთგულად ეკიდებიან. კარგ მოსავლიან წელიწადში ქართველები ყოველთვის ბლომად ჰყიდიან პურს, ქერს, სიმინდს, ღვინოს, თივას, ბზეს, ლობიოს და სხვასა, მაგრამ სარჩოთი ნემეცებს, რუსებს და მალაკნებს მეტადრე აწინდელ დროში ძლიერ ჩამორჩნენ. გასაკვირველია, ღმერთმანი, რა არის ამის მიზეზი, რომ ქონებრივი მდგომარეობა ჩვენის ქართველის ხალხისა თან-და-თან უკან-უკან მიდის. ასე ბევრ გვარი საქმის მიმდევარი ხალხი უფრო შეძლებული უნდა იყოს, ვიდრე მაგალითად რუსები და მალაკნები; პირველნი მთელ თავის შრომას მარტო ბოსტნეულობის მოყვანას ახმარებენ და მეორენი ხვნა თესვას.

ს. ხაშმიდგან დაწყობილი ათი ვერსტის მანძილზედ თითქმის ივრის ხიდამდე ივრის აქეთ-იქითა ნაპირები სულ სარწყავია და ძლიერ ნაყოფიერი. ზემოთა ნაწილი (ე. ი. ხაშმიდგან დაწყებული) ამ მინდვრისა, რომელსაც ჭალას ეძახიან, ეკუთვნის ნემეცებს. ამათ ამ ათიოდე წელიწადებში გატეხეს ეს ჭალა, შეიმუშავეს და დაიწყეს ხვნა და სხვა-და-სხვა ბოსტნეულობის მოყვანა. ამ საქმით დიდს ფულს იღებენ ნემეცები მაშინ, როდესაც ჩვენი ქართველი ხალხი ამ ფრიად ძვირფასს საუნჯეს აცდენს, და ან იმისთანა მარცვლოვან მცენარეებს სთესს, რომლებიც ურწყავებშიც საკმაოდ მოდის. ესენი უფრო სიმინდს სთესენ ყოველ წლივ, მაგრამ სიმინდის მოსავალი თითქმის ათჯერ მცირეა კომბოსტოს, კარტოფილის და ჭარხლის მოსავალზედ. ნუ თუ სასარგებლო და სახეირო არ იქმნება ჩვენის ხალხისთვის, რომ ამათ სარწყავ მამულებში უფრო ძვირფასი მცენარეობა მოიყვანოს.

წელს ჩვენშიაც უთოვლო ზამთარი იყო. გაზაფხულმა პირი ადრე იჩინა. პირველად თუმცა შევშინდით, მაგრამ ბოლოს გაუწყვეტელმა წვიმებმა დიდი იმედი მოგვცეს ჭირნახულისა და თივისა. რაც ამ ზამთარ უპურობამ და საქონლის უსაჭმელობამ საქმე გაგვიჭირა, შეიძლება წელს ჩვენი დანაკარგი და დახაკლისი ერთი ორად შეივსოს. ვენახების მუშაკება ცოტა არ არის გვიგვიანდება და ზოგი თითქმის უჭიგოვო რჩება, რადგანაც ტყის-მცველების წრე გადასულ საქციელს საზღვარი არა აქვს. კომლზე 90 ძელი ჭიგო არის დადებული, და თუ მეტს მოიტანს ვინმე ასზედ 61 კაპეიკი უნდა გადიხადოს. წარმოუდგენელ ფულს შეადგენს, მეტადრე აწინდელ დროში, თუ ექვსი და შვიდი ათასი ჭიგო მოუნდება ვენახს. შემოსავალი და ქართაობა არსაიდგან არის, ტყე შეკრულია, გზა შეკრულია. გასაოცარია ღმერთმანი, რა მიზეზია რომ ასე ძლიერ მოუჭირეს ტყეს ხელი, რომ გლეხებმა თითქმის მიატოვეს ვენახები უჭიგოების გამო. სასურველია გავიგოთ, მარტო ჩვენში მოქმედობენ ასე ტყის გამო, თუ სხვაგანაც ასრე არის. დასასრულ, ამას კი ვიტყვი, რომ თუ მერმისაც ასეთი წელიწადი მოგვივიდა, სარჩო-საბადებელი ჩვენის ხალხისა თან-და-თან იკლებს.

ნიკო ლ—ონ—ძე

დამაკვირდი!

სჯობს კაცმა კაცის გული სიყვარულით მოიპოვოს, ვიდრე შიშით.

(დაციერი)

* * *

წარსული და მომავალი აშუქებს მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა სწორედ ისე, როგორც ამომავალი და ჩამავალი მზე ასხივოსნებს მხოლოდ მთისა წვერთა.

(სენნი)

* * *

თუ გინდა რომ ემსახურო საზოგადოებას, ჯერ გულადამ უნდა ამოიღო შიში არ-მოწონებისა.

(ფლეშიერი)

* * *

ვისაც სულთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

(ალექ. ჭავჭავაძე)

* * *

მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა.

(ნ. ბარათაშვილი)

* * *

ტროფობა უმღურით გულთ წყაროს ჰგავს
რა მთიდგან გარდმოქანდების,
რაოდენს ველზედ შორსა ჰვალს,
მგოდენ დაუმღურდების.

(გრ. ორბელიანი)

* * *

რასაც ქმნი, ვერ ჰპოვებ,—
გეტყვი წმინდის გულითა,
ვერა ჰპოვებ, რადგანაც
ღარიბი ხარ სულითა...

(რაფ. ერისთავი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Петербургскія Вѣдомости“-ს ბოლგარიიდამ მოჰსვლია ერთი ჰამფლეტი (კიცხვისა და ძაგების წერილი), რომელიც, როგორც გაზეთი გვარწმუნებს, თურმე ძალიან გავრცელებულია ბოლგარიის მაღალ საზოგადოებაში. ეს ჰამფლეტი ბატენბერგ კარაველოვის პოლიტიკას აღმოსავლეთ-რუმელიაში ასე ჰხატავს თურმე.

> «აქ ბეჭდვითი სიტყვა ალვირ ამოდებულია, სამხედრო წესებია შემოღებული, დირექტორებს და დეპუტატებს ისე ეპყრობიან, როგორც დამნაშავეთ, ადმინისტრაცია შერყეულია, სრული უწესობა და არეულობა სუფევს ყველგან, საზოგადოება მუდმივ შიშშია, შეძლებული ხალხი ციხეებშია დამწყვდეული, მდაბიო ხალხი ათას გვარის ხარჯით არის შევიწროებული, ძალ-მომრეობას, წართმევა-გლეჯას ფართო გზა აქვს მიცემული, ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა, გაზეთის კორრესპონდენტები უმეტესს ნაწილად შესყიდულნი არიან, ქვეყანა აოხრებულია, პატიოსანი ხალხი შეურაცხყოფილი, ჯოხი და მათრახი თავისუფლადა მეფობს, ხმის ამომღები არავინ არის, მოწინაალმდეგენი განფანტეს, ქვეყანას შიშის ზარი აქვს დაცემული, კანსტიტუცია გაუქმებულია, მთავრობას ყველა ზიზღით და მძულვარებით უყურებს, მთავარს ხალხში ნდობა და სიყვარული დაეკარგა, რუმელია მოსწყდა ბოლგარიას, შეერთება კი ვერ მოხერხდაო».

გაზეთ „Петербургскія Вѣдомости“-ს კორრესპონდენტი ამას იწერება, სხვა გაზეთების კორრესპონდენტები კი სულ სხვას ამბობენ. ეტყობა მარტო ამ გაზეთის კორრესპონდენტი არ ყოფილა მოსყიდული ბოლგარიის მთავრობისაგან.

* * *

აფთიაქის პატრონების სიხარბე განთქმულია, წამლებს ძალიან ძვირადა ჰყიდიან. ამაზედ დიდი ხანია საჩივარი ისმის საზოგადოებაში. აი ეხლა რაღაცა კამისია შემდგარა აფთიაქის მაზანდის გადასაშინჯავად იმ განზრახვით, რომ წამლები ცოტად გააიაფონ, და აი ამ ახირებულ კამისიას, გაზეთ «Современныя Извѣстія»-ს სიტყვით, რა პროექტი შეუთხზავს:

> აფთიაქებში სულ 900 წამალი მზადდება. ამ რიცხვში კამისიას შესაძლოდ დაუნახავს მხოლოდ 300 წამალს დაუკლოს ფასი, და ამასთანავე გადუწყვეტია, რომ ამის მაგიერ აფთიაქის პატრონებს გასამჯელო, ხელ-ფასი მოემატოთო. ამ სახით გამოდის, რომ წამლებს ფასი უფრო მოჰმატებია, თუმცა ისე კი სჩანს, ვითომ ზოგიერთ წამალს მაინც ფასი დაჰკლებიაო. საზოგადოებას რომ თვალი უფრო ძრიელ აუხვიონ, აფთიაქის პატრონები უცხადებენ თურმე, რომ მზადა ვართ, ღარიბ ხალხს წამალში ხელ-ფასი არ გამოვართოთო. ესეთი გულ-კეთილობა ყოვლად ქებული იქმნებოდა; მაგრამ ყველამ კარგად იცის, ის რომ ექიმებს ძალიან არ უყვართ ღარიბ ხალხისთვის რეცეპტების წერა და აფთიაქების შეწუხება ამათ გულისთვის.

საუცხოვო, ნამდვილი აფთიაქური პროექტია პატივ-ცემულის კამისიას პროექტი!..

* * *

რუსეთში გავრცელებულია აზრი, ვითომ ამერიკის ბამბა ვერ იხეირებს სარუსეთო აზიაშიო. ამერიკის ბამბას სინესტე უყვარსო და ამ ქვეყნების სიცხეს და გვალვას ვერ იტანსო. ვიღაც ბ-ნი კონოხოვი გაზ. «Москов. Вѣдомости»-ში სრულიად არღვევს ამ აზრსა.

> გამოცდილებამ დაგვარწმუნაო, ამბობს ბ-ნი კონოხოვი, რომ ამერიკის ბამბა თურქესტანში, მეტადრე ბუხარაში და ხივაში, არაფრით ჩამოურჩება თავის ღირსებით იმ ბამბას, რომელიც უცხოეთიდამ შემოაქვთ ჩვენშიო, თუმცა მართალია, ამერიკის ბამბას უფრო მეტი ყურის გდება, უკეთესი მოვლა და კეთება უნდაო და ამ საქმეს რიგიანად უნდა ხელის შეწყობაო. სინესტეს კი აქ არაფერი მნიშვნელობა არა აქვსო. ბამბა ითესება აპრილის დამდეგს და ოქტომბრის გასვლამდე სულ იკრიფებაო. ამ ხნის განმავლობაში ბამბა სულ ორჯელ ირწყვის, თუმცა სიცხე ხშირად 50°/₀-მდე ადის ხოლმეო. თურქესტანში თუმცა მოჰყავთ ამერიკის ბამბა, მაგრამ ძალიან ცოტა-კიო. აუცილებლად საჭიროა, უფრო მეტის ბამბის თესვას მიჰყვნენ აქა, რომ უცხო ქვეყნებიდამ შემოტანილი ბამბა სრულიად განვდევნოთ ჩვენი ქვეყნიდამაო

ჩვენ ასე გვგონია, რომ ეს უკეთესი იქნება ვიდრე ბაჟის დადება უცხოეთის ბამბაზე. მუდმივ ჩივილსა და წუწუნსა, რომ უცხოელები ხელს გვიშლიან და გვჩაგვრენო, ის ემჯობინებოდა, რომ მოსკოვის ვაჭრებმა მეტი მხნეობა გამოიჩინონ და ხელი მიჰყონ ამ სასარგებლო და შემოსავლიან საქმესა.

უცხოეთი

საბერძნეთი. სამხედრო მინისტრი მავრომიხალისი 17 აპრილს სამსახურიდამ გამოვიდა და ჯერ აქამომდე დეპეშას არავითარი ამბავი არ მოუტანია, ვის დანიშნავს დელიანისი სამხედრო მინისტრად. ჯერ ისევ 8 აპრილსავე, როცა სამხედრო მინისტრის უკმაყოფილება მოუვიდა პალატას და თან სამსახურიდამ გამოსვლა მოინდომა, დელიანისმა სცადა გრივასი დაენიშნა სამხედრო მინისტრად, მაგრამ გრივასმა ცივი უარი სთქვა.

იალბუზისა ქედზედა.
ზედ აკვდებოდა საცმელი,
წმიდად ნალესი ხმალია,
მე თვითონ ვიყავ მნახველი
ვისაც ჰკრა—სული დალია.

V

ერეკლეს მარჯვენა ხელი,
თავის გვერდთ ედგა ლევანი,
მამაზედ უფრო გულ-ტკბილი,
თვალ-მარდი, როგორც ჯერანი...
გულით მას ვებრალებოდით,
მოეწყლიანნეს თვალები...
რადღა გვინდოდა მოზარედ
შავად ჩაცმული ქალები,
როდესაც მეფე დასტირის
ჯარში მიმდინარს ხალხსაო?!
მაგრამ რას იზამ, თუ გცემენ,
როგორ სჯამ მტრისა ჯავრსაო..
თვითონ ერეკლეს ვამჩნევდი,
ებრალებოდა ხალხიო,
მაგრამ ცრემლებსა ჰმალავდა,
არ მგმონ პატარა კახიო;
არ დააბრალონ ცრემლები
სიმხდალე, სიბერესაო,
არა სთქვან სუსტი ყოფილა,
ცრემლი სდის ერეკლესაო.

VI

აქით წავედით ქალაქსა,
იქ დაგვხვდნენ ქართველ-კახელნი,
პურით და ღვინით განთქმულნი,
დიდის წვა-დაგვის მნახველნი.
ყველანი შევკრბით ერთადა,
შევკარით ძმური პირობა:
«ქუდი ნუ ჰხურავ თავზედა,
ვინც არ იჩინოს გმირობა.
ვინაც ცოცხალი მტერს დაჰრჩეს
ყმადა და სასიცილოდა,
ღვთისაგან წყეული იყოს
გვარით საშვილი-შვილოდა.
თუ ვერ შევიძლოთ საცადი,
გაგვწირონ სასიკვდილოდა;
მოვკვდეთ—გვეხუროს მიწისა
ნაბადი—მოსათბილოდა.»
ქალაქით კრწანისს გავედით,
ველოდებოდით მტერსაო,
შორს მოდიოდნენ წყეულნი,
ცაში ადენდნენ მტვერსაო.
დაჰკრეს ნაღარას, საყვირსა,
აქოთდა გიჟი ბუკები
ჩვენი აქ, იქით თათრისა,
ღვინოსებ სისხლის მდუღები.
ცამ მოიღრუბლა, მიწამა
ასტეხა გლოვა-ზარია,
სისხლი სამმორწყო წვიმამა
ქართველთა მთა და ბარია.

VII

როგორც ღრუბელი მოვიდა
მრისხანედ თათრის ჯარია,
ისეთი ვსჩანდით იმასთან,
ვით ზღვასთან წვიმის ცვარია...
მაგრამ ვინ იტყვის იმასა,—
მტერი გვაჭარბებს რიცხვითა;
ბევრჯელ უტეხავ ქართველსა
კლდეები გულის ფიცრითა.
შემოკალთულნი ჩოხებში
მტერს უცდის ქართველებიო
და გველის პირულს ფრანგულებს
აღნება ქარქაშებიო.
რა ვნახეთ მტერი, მივცვივდით
ხმალ-მოწვდით გამალულები,
და დავინთქენით სპარსებში,
გარს მტრისგან შემორტყმულები.
ხმალთ სტვენას, ცხენთა ჰიხვინსა
ბანს აძლევს სისხლის ჩხრიალი
და თავ-მომწონე დროშებსა
ჰაერში გააქვს ფრიალი.
აბრეშუმზედა ნაკერი
ბრწყინვალებს ჩვენზედ ჯვარია—
იმისი შემაცქერალი
იბრძვის ქართველთა ჯარია.
იბრძვიან გამწარებულნი,
თითო ოც-ოცის მკვლელია...
მაგრამ დავმარცხდით სიმრავლით,
გაცუდდა ვაჟკაცთ ხელია.
გაწყდნენ სამშობლოს ერთგულნი,
მტრისა სისხლითა მთვრალნია,
დაიგეს მიწის ლოგინი,
დახუჭეს მუდმივ თვალნია.
იმათ ადგება ნათელი,
დასტირის ღამ-ღამ მთვარეო,
მათ სიმამაცის მნახველი
დღესაც ჰკვნესს არე-მარეო...
არაგვის პირით წასული
მე დავრჩი ვარმად ცალია,
მიპოვნა ერთმა მეცხვარემ
დაჭრილი, ცოცხალ-მკვდარია.
გადავრჩი, მაგრამ სიცოცხლე,
შეილებო, ჩემთვის მწარია,
ქართველთ ქვის სეტყვა გვეწია,
სპარსთ კი დაუდგათ დარია.
ამ ჭირთა ჭირმა სიბერემ
შეჭამა გული, ტვინია,
არ მომდევს ღონე, არც მუხლი,
რომ მით მოვიკლა ჭინია...

—

ეს სთქვა თეთრ-წვერა მოხუცმა
და გადმოყარა ცრემლები,
თან ჩამოისო წვერზედა,
დამჭკნარი წმინდა ხელები.

ვაჟა ფშაველა

გვნის გაზეთებსა სწერენ 17 აპრილიდამ, რომ ათინაში ხალხი ძალიან წინააღმდეგია მთავრობისა და არას გზით არ აპირობს თოფ-იარაღი აიყაროსო. ქუჩებში კრება კრებაზედ იმართება და სხვა-და-სხვა ორატორები აქეზებენ ხალხს საომრადაო. ეს ორატორები თხოულობენ, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყოს ომიო. ძნელია კაცმა სთქვას, რას მოასწრებს ამ გაჭირვების დროს დელიანისი და როგორ დაამშვიდებს აღელვებულს ხალხს. პირველი მინისტრი ორ ცეცხლ-შუა სწორედ. 14 აპრილს დაჰპირდა საფრანგეთს, შენ მეგობრულ რჩევას დაგიჯერებო, იარაღს აგიყრიო, თან სასტიკი ულტიმატუმი მიუვიდა 14 აპრილსავე საღამოს დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან და ხალხი კი სულ სხვას ამბობს. 17 აპრილს დიდი კრება გაუმართავს ხალხს ათინაში ერთს ნამინისტრალის თავს-მჯდომარეობით და დაუდგენია, ესლანდელ გარემოებათა-შორის საბერძნეთის ხსნა მხოლოდ თოფ-იარაღია, მოვიწვევთ ყველას, მოვიდეს შეთოფ-იარაღებული კონსტიტუციის მეიდანზე და ერთად მოვითხოვოთ დელიანისისაგან გადაწყვეტილი პასუხიო.

* * *

საფრანგეთი. გაზეთები კიდევ ბევრსა ლაპარაკობენ ბარტოლდების წიგნზე „ომის წინად". ამ წიგნის წინასიტყვაობა ამბობს თურმე სხვათა-შორის, რომ ფრანგებს ეხლა აღარ უნდა ეშინოდეს პრუსიისაო, რადგანაც ეხლა გარემოება სხვა ნაირად შეიცვალაო. ჩქარა მოვა ის დრო, როცა სედანისთვის სამაგიეროს მივაგებთ ნემეცებსაო. სამაგიერო უნდა გადავუხადოთ უთუოდაო. ეს უპირველესი ვალია ყოველის საფრანგეთის შვილისაო. სამხედრო ძალით ეხლა ფრანგები სუსტნი კი არ არიან ნემეცებზე, უფრო ძლიერნი არიანო. ეხლა რომ ომი ატყდეს ფრანგებსა და ნემეცებს შორის, ეჭვი არ არის, ჩვენ გავიმარჯვებთო. ამ აზრს, წინასიტყვაობის დამწერი პოლდერულედი რომელიც პატრიოტების საზოგადოების თავს-მჯდომარედ არის თურმე, ციფრებით ამტკიცებს. ეს ციფრები უხვად აქვს მოყვანილი ბ. ნს ბარტოლდს თავის წიგნში.

ჯერ ბარტოლდი აქებს ფრანგების სამხედრო წყობილებასა. აფიცრებიცა და ჯარის კაცნიც უკეთ არიან შეიარაღებულნი, გაწრთვნილნი და ულუფაც უკეთესი აქვთ, ვიდრე ნემეცების ჯარსაო. ყოველ-წლივ 1,153, ან 423 ფრანგი სწავლობს სამხედრო საქმესაო და ყოველ-წლივ ამდენივე ამ ხელობის მცოდნე კაცი უბრუნდება თავის სახლსაო. წესიერება საფრანგეთის ჯარში სასტიკად არის დაცულიო. გაჭირვებაში საფრანგეთს შეუძლიან გაიყვანოს საომრად 4,108,655 კაციო. მათ რიცხვში 2,051,459 კაცი მოლაშქრე იქნებაო და 2,057,196 ზურგული ჯარიო. ეს დიდ-ძალი ჯარი თუ უკეთესად არა, ნაკლებად არ არის განსწავლული და შეთოფ-იარაღებული, ვიდრე სხვა რომელიმე ჯარი დედამიწის ზურგზედაო. ჯარების მომზადება საომრად, აღკაზმვა-დარაზმულობაც ადვილია საფრანგეთისაო. ჯარების გადასაყვანად საომარ ადგილამდე საჭიროა 3,122 ორთქლის მატარებელიო და 84,360 ვაგონიო. საფრანგეთს კი 6000 ორთქლის მატარებელი აქვს და 200,000-ზე მეტი ვაგონიო. დღესვე რომ ბძანება გამოვიდეს საომრად მომზადებისათვს, ექვს დღეზედ სულ ყველაფერი მზად იქნებაო.

ეტყობა საფრანგეთის მაგალითი გერმანიაზედ სრულიადაც არ მოქმედობს და თავის ქება თავის ტუხად მიაჩნია.

* * *

ამერიკა. ამერიკა სრულიად სხვა გზას ადგია. ორი კვირაა სენატი თურმე იმ საგნის განხილვაშია, მოუმატოს თავის ჯარს 5,000 კაცი კიდევ, თუ არა. ამერიკას ეხლა 25,000 კაცი ჯარი ჰყავს და დეპუტატს ლოგანს უთქვამს, რომ ეს ჯარი ცოტააო, 30,000 კაცი მაინც უნდა იყოს ჯარშიო. სენატს ბევრი უფიქრია და გადაუწყვეტია, რომ არას გზით არ მოუმატოს ჯარს ეგ 5,000 კაციო. ხარჯი კი არ გვეძნელება 5,000 კაცის შესანახადაო. არა, ეგ არ გვაწუხებსო, საქმე ის არის რომ, თუ ერთხელვე მაგ გზას დავადექით, მერე თავს ველარ შევიკავებთ და მუდამ მომატება მოგვინდება ჯარისაო. ეგ საქმე პაჭიჭსა ჰგავს და თუ ერთი პირი მოერღვა, წავა და პაჭიჭი სულ დაირღვევაო.

შარშან ავსტრიამ უარი შეუთვალა ამერიკას, რომ შენგან დანიშნულს ელჩს ჩვენ ვერ შევიწყნარებთ ვენაში, რადგან ებრაელი ქალი ჰყავს ცოლადაო. ამერიკას წელს უნდა დაენიშნა სხვა ვინმე ელჩად, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტს კლივლენდს უთქვამს, რომ სულაც არავის არ დავნიშნავ ვენაში ელჩადაო. ჩვენს საქმეებს უბრალო ვექილი და რწმუნებულიც კარგად განაგებს ვენაშიო.

* * *

ბავარია. ახირებული საქმე დაემართა ბავარიის კოროლს ლიუდოვიკო მეორეს. ამ გვარი საქმე ჯერ მატიანეს არ ახსოვსო. საქმე ის არის, რომ ამ კოროლს დიდ-ძალი ვალი ჰმართებს. მოვალეები ძალიან თურმე აწუხებენ კოროლს, რომელსაც საშუალება არა აქვს, რომ გაუსწორდეს როგორმე თავის მოვალეებსაო. მეტი ღონე არ არის, უნდა ცალკე რჩევა შესდგეს და ამ რჩევამ უნდა იკისროს დროებით სახელმწიფო საქმეების მართვაო. საქმე ისეა თურმე, რომ ლამის კოტრად გამოაცხადონ კოროლიო.

* * *

ავსტრო-ვენგრია. ავსტრიის გაზეთები დაწვრილებით მოუთხრობენ თურმე თავიანთ მკითხველებს გალიციის არეულობის ამბავს. არეულობაში მონაწილეობა მიიღეს ყველა გლეხებმა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობის განურჩევლადაო. საზოგადოდ ძალიან დაფიქრებულნი არიან აქა და ყველას მწუხარება ეტყობაო. ყველას ჰგონია, რომ მალე უფრო კიდევ სხვა დიდი არეულობა მოხდებაო. წვრილ-წვრილი რაზმები ჯარისა სწრაფად დაჰქრიან არა-საიმედო ადგილებშიო. ძალიან დიდ-ძალი ხალხი შეიპყრეს და დაატუსაღესო. გლეხების ეკონომიური ყოფა-ცხოვრება, როგორც ვაკვირდებით, საშინელიაო. უმრავლესობას აღარც სარჩო აქვს, აღარც საჭმელიო. პოლშის გაზეთებიც-კი არ უარჰყოფენ ამ გარემოებსაო.

* * *

დეპეშა

23 აპრილს.

ხარკოვი. სამოსამართლო პალატამ მეორე დეპარტამენტისამ ტაგანროგის საბაჟოში მომხდარ უწესოებისა და ბოროტ-მოქმედების გამო ახალი განაჩენი დაადგინა იმ გარდაწყვეტილებათა მაგიერ, რომელიც სენატმა არ შეიწყნარა: ვალიანო გამართლებულ იქმნა; ხუთკეცად ბაჟი გადახდევინებულ იქმნას ქალალდის ფულითაო; სფალოს გადახდეს მხოლოდ 8,000 მანათიო.

ათინა. გუშინდელს კრებაზე ელჩებმა ვერაფერი ვერა გარდასწყვიტესო.

დღეს ელლინთა კოროლის დაბადების დღის გამო ელჩნი მიწვეულნი არიან პარაკლისზედ.

დიდ სახელმწიფოების მთავრობათა პირ-და-პირი მოლაპარაკება აქეთ გამართული, იმ აზრით რომ გარდასწყვიტონ რამე ურთიერთის თანხმობით. ინგლისის მოთავეობით, ხუთის დიდის სახელმწიფოს წარმომადგენელნი თანხმანი არიან მოსთხოვონ დელიანისს უფრო სამედო და სარწმუნო აღთქმა, რომ საბერძნეთი იარაღს აიყრის. საზოგადოება და ერი კი იმასის ვერაფერს ვერ დაუთმობთ, ვიდრე ერთა-შორის ფლოტი საბერძნეთის წყლებიდამ არ წავაო.

ლარისიდამ მიღებული ამბები გვაუწყებს, რომ ოსმალნი თავიანთ ჯარს საბერძნეთის სამზღვრებისკენ ჰგზავნიანო.

ის ხმა, რომ იტალიის წარმომადგენელმა უფრო მშვიდობიანის ხასიათის დარიგება მიიღოვო, მართლდება. ინგლისის საელჩოში ამბობენ, რომ ჩქარა მოვა აქ დანარჩენი ნაწილი ერთა-შორისის ფლოტისაო.

24 აპრილს.

მერვი. 13 აპრილს რუსეთისა და ინგლისის კამისია ჩარშამბეში მოვიდა. აქ იდღესასწაულეს აღდგომა. დღესასწაულისა გამო კამისარებმა ერთმანეთს ვიზიტები გაუკეთეს. საქმე კვლავ მიმდინარეობს.

ჩიკაგო. 24 აპრილს საშინელი ჩხუბი მოუვიდათ პოლიციასა და ანარხისტებს: რამდენიმე ყუმბარა დინამიტითა უსროლიათ; სამი პოლიციელი მომკვდარა, ოც-და-ცხა დაჭრილა; ანარხიელთაგანი ერთი მომკვდარა და ოც-და-ექვსი დაჭრილა.

ყაირი. ამბავი მოვიდა, რომ მაჰდის მოადგილე ხარტუმში დონგოლაზე მოდისო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

აპრილი 30 დღით არის.

24 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწამისა აბა სტრატილატისა, ღირსისა ელისაბედისა. კათოლიკეთა ვოიცეხისა და ფიდელისა. მუსულმანთა: დაბადება იმამისა ჰუსეინ (შიიტებს). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—28. ტფილისში მზე ამოდის 4—50; ჩადის 7—3. მთვარე ამოდის 65—9, ჩადის 9—5 ღ.

25 დღე პარასკევი. წმ. მოწამე მარკოზ მახარებელისა, სილვესტრისა. კათ. მარკოზ. მახარობელისა და კალიქსტისა. მეფე ქართლისა ვახტანგ გადავიდა რუსეთს საქართველოდამ საცხოვრებლად, წარსდგა თავის ამალით იმპერატრიცა ეკატერინე I წინაშე, რომელმაც უბოძა ორდენი წმ. ანდრიასი და დაუნიშნა ჯამაგირი წელიწადში 12,222 მან. (1725 წელს). შემდეგ სხვა-და-სხვა დროს უბოძა რამდენიმე სოფელი, სულ 2896 გლეხ-კაცი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11--56--24. ტფილისში მზე ამოდის 4-49; ჩადის 7--4. მთვარე ამოდის 7--50; ჩადის 10--5 ღ.

26 დღე შაბათი. წმ. ვასილი ეპისკ. სტეფანესი. კათ. კლეტისა, მარცელინისა. მუს. დაბადება იმამისა ზეინალ-აბდინისა (შიიტებს) ტფილისში დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა 1850 წ. შამილი გაიქცა ყაბარდოდამ, რომელიც უნდა აეჯანყებინა 1846 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—19. ტფილისში მზე ამოდის 4—47; ჩადის 7—5. მთვარე ამოდის 8—45; ჩადის 10—58 ღ.

27 დღე კვირა წმ. მღვდელ-მოწამისა სვიმეონ, ნათესავისა უფლისა. შობა მათ. უმაღ. გიორგი ალექსანდრეს-ძისა (15 წლისა). კათოლ. ანასტასია ტერტულიანისა და სტეფანესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—18. ტფილისში მზე ამოდის 4—46; ჩადის 7—6. მთვარე ამოდის 9—49; ჩადის 11—50 ღ.

28 დღე ორშაბათი წმ. მოციქულისა იასონ, მაქსიმესი. კათ. პავლესი: ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—14 ტფილისში მზე ამოდის 4—45, ჩადის 7—7. მთვარე ამოდის 10—53, ჩადის 12 ღ.

განცხადებანი

გრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
რუსულ ქართული
ლექსიკონი
ხელ-ახლად გადაკეთებული ახალს ლექსიკონებზედ და გამოცემული დ ჩუბინოვისაგან.
ფასი თითო წიგნისა 3 მ. 60 კ.
(10—7)

საბალო-დაბალის სკოლის
მზრუნველი
აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 25 აპრილს დანიშნულია მიღება მოსწავლეთა მოსამზადებელს განყოფილებაში და 1 მაისს-კი სკოლა გაიხსნებაო. სკოლაში მიიღებიან მომუშავე მოსწავლეებად ყველა წოდების ყმაწვილები. მოსამზადებელს განყოფილებაში შემსვლელთ მოეთხოვებათ იმ საგნების ცოდნა, რომელსაც ასწავლიან პირველ დაწყებითს სახალხო სკოლებში; ყმაწვილი უნდა იყოს არა უმეტეს 12 წლისა. თხოვნა ყმაწვილის მიღებაზედ შეუძლიანთ შეიტანონ მსურველებმა კავკასიის სამეურნო საზოგადოებაში ყოველ-დღე, დღესასწაულების გარდა. 10—2 საათამდე.
(3—1)

ანგარიში

ჩვახჭკარის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა, რაჭის უეზდის.

1 იანვარს 1885 წ. იყო:

წილის ფული .	6,426 მან. 18 კ.	გასესხებული . .	7,635 მან. 16 კ.
სასარგებლოდ შემოტანილი .	240 — ,, —	ნაღდი ფული . .	791 — 23 —
სათადარიგო თანხა . . .	750 — 93 —		
წმინდა მოგება .	1,009 — 28 —		
სრულიად	8,426 მან. 39 კ.	სრულიად .	8,426 მან. 39 კ.

1885 წელსა.

შემოსავალში:		გასავალში:	
წილადი ფული .	370 მან. 47 კაპ.	წილადი ფული. . .	825 მ. 24 კ.
სარგებელი დაჭერილი გასესხების ან ახალი ვადის მიცემის დროს .	772 — 22 —	მოგება წილადზე მიცემული. . . .	643 — 33 —
ჯარიმა . . .	101 — 14 —	გასესხებული . . .	12,044 — „ —
დაბრუნებული სესხი . .	12,630 — 54 —	სარგებელი დაბრუნებული ვადაზე წინ გარდახდილ სესხისა	3 — 77 —
სასარგებლოდ შემოტანილი.	160 — › —	სამართველოს ხარჯი.	151 — 48 —
სათადარიგო თანხა.	100 — 28 —	სხვა-და-სხვა გასავალი	8 — „ —
		ალებ-მიცემის	138 — 95 —
სრულიად	14,134 მან. 65 კ.	სრულიად	13,996 მან. 37 კ.

1 იანვარს 1886 წ. არის:

წილადი ფული . .	5,971 მან. 41 კ.	გასესხებული. . .	7,048 მან. 62 კ.
სასარგებლოდ შემოტანილი	240 — › —	ნაღდი ფული . . .	929 — 51 —
სათადარიგო თანხა .	851 — 21 —		
წმინდა მოგება . . .	915 — 51 —		
სრულიად	7,978 მან. 13 კ.	სრულიად	7,978 მან. 13 კ.

Дозволено цензурою Тифлисъ 23 апрѣля, 1886 года.
მელიქიშვილის სტამბა.
რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.